წელიწადი მე-3

ტელეფონი № 76.

სამშობლო

სამშაბათი 21 მარტი 1917 წ.

გაზეთის ფასი:

წლი-რად.	15 მან.
ნახევარი წლით	8 მან.
თვიურათ	1 მან. და 50 კ.

ცალკე ნუმერი შვიდი კაპ.

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიანთ ნაწილნაწილათ გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5 მ. სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მ. და დანარჩენიც სექტემბრის პირველამდე.

განცხადების ფასი:

პირველ გვერდზე პეტიტის ლირს	25 კ.
უკანასკნელ გვერდზე	15 კ.

ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორათ

სამგლოვიარო განცხადების დაბეჭვდა თითოჯერ არა უმეტეს სამ გამომცხადებლისა, ნაშუადღევის 2 საათ. 5 მ.
2 საათის შემდეგ 6 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქ. ქნ ს. ნ. მიქელაძის სახლში.

№ 576 — ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. — № 576

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

მამა პრიჩეტნიკი თევდორე გრიგოლის ძე, დედა ანასტასია სიმონის ასული, ძმები: სერგია, ეპიფანე და იოსებ თევდორეს ძენი გიორგაძენი, და ოლღა თედორეს ასული და სიძე სიმონ დიმიტრის ძე ჭახტურიშვილები, რძლები: პელაგია დიმიტრის ასული, ფედოსი პავლეს ასული და ელენე სიმონის ასული გიორგაძენი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ რომ 5 მარტს, სამსახურის ვაჟკაცურად აღსრულების დროს ოსმალეთის ფრონტზე შავი სახადით გარდაიცვალა ძვირფასი შვილი პირველთა, დაუვიწყარი ძმა მეორეთა და მესამეთა და საყვარელი მაზლი დანარჩენთა, სამხედრო ექიმი

ალექსანდრე თედორეს ძე გიორგაძე.

მიცვალებული უკვე მოასვენეს სარაყამიშიდან ქუთაისში ვაკის უბნის დაჩაზე საკუთარ სახლში. დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს 23 მარტს, ნაშუადღევის სამ საათზე ვაკისუბნის ეკლესიის გალავანში. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 საათზე.

ოთხშაბათს, 22 მარტს, ქართველ კათოლიკეთა ეკლესიაში გადახდილ იქნება ერთი თვის წირვა და პანაშვიდი ექიმის

სიმონ იაკობის ძე ბეგიშვილის, ბეგოვი

სულის მოსახსენებლად რასაც აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ ღრმათ დამწუხრებულნი, დედა ალათი სტეფანეს ასული, დები: ემილია და მარიამი. ძმები: გიორგი, ლევანი, ივანე, კონსტანტინე და სტეფანე ბეგიშვილები (ბეგოვები).

წირვა დაიწყება დილის 9 საათზე. 1—1

ელექტრო ამპირ თეატრი

ორშაბათიდან, 20 მარტიდან ლონდონ და მისი მიდამოები. სანახაობა. ვნების ტალღებში. დრამა 5 ნაწ. ოქტავ მირბოს „სიყვარულის მოლოდინით“.
ანონსი: შესანიშნავი სურათი: სახელგანთქმულობის მწვერვალზე. დრამა 6 ნაწ. მოზჟუხინის და ლისენკოს მონაწ.

ელექტრო „რადიუმ“ თეატრი

ორშაბათიდან, 20 მარტიდან კაშირის გმირის მაცისტის გასაოცარი თავგადასავალი. ორიგინალური სურათი 8 ნაწ.
ანონსი: ხუთშაბათიდან, 24 მარტიდან ცდუნების ქალღმერთი მხატვრ. დრ. 5 ნაწ. გამოჩენილ მსახიობთა ფრანჩესკა ბერტინის მონაწ.

ერთმა ქართული მწერლობის მოტრფიალემ რედაქციას გადმოსცა

100 მანეთი პრემიით

საუკეთესო შრომისათვის (განურჩევლად დარგისა), რომელიც მოთავსებული იქნება გაზეთ „სამშობლოში“ 1 მარტიდან 1 ივნისამდი. ნაწარმოების შესაფასებლათ სარედაქციო კოლეგია მოიწვევს გაზეთის მკითხველთა წრიდან სამი პირისაგან შემდგარს განსაკუთრებულ კომისიას.

ექიმები:

გ. ი. გოკიელი ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის, ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. 7 თ.

ა. მ. ასათიანი ღებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

ი. ჩარექოვი ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს.
(სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით $12^1/_2$—2 საათ. საღამოს 6—8 ს.
მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიხანოვის სახ. ტელეფონი № 135. 4

გამოცდილი სტუდენტი ამზადებს მოწაფეებს ყველა კლასებისათვის. ჰყავს ჯგუფი საოფიცრო მოწაფეებისა I და II ხარისხის. იყვანს პირობით. მისამართი: კაზაკოვის და ვერნერის ქუჩის შესახვევი სახლი გიორგი სტეფანოვის № 15 მიიღება 9—12 ს. და 3—6 საათამდე. მასწავლებელი ა. ფ. თელია. 5 თ.

ა. დ. მაჭავარიანი (ყოფილი უფროსი ექიმი სმეცკის გულსუსტებიანთა სანატორიისა) იღებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფებს დილის 8—10 და საღამოს 6—8 საათამდე.
დადიანის ქ. სახლი ჩარანიძის (წულუკიძისეული)

მასაჟისა და სახის სამკ. კაბინეტი
მარიამ ტ. ბალანჩივაძისა.

ვკურნავ მასაჟით, საქიმო ვარჯიშობით, ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას, ამასთან ვკურნავ ყვავილსაც **ახლად მიღებულ დეტრიტით** და აგრეთვე **ნამდვილად ვარჩენ** თავზე კანის ქერტლს, ანუ ქატერს ჩემგანვე ახლ გამოგონილ წამლის საშვალებით. ქატერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ ცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფები მიიღებიან დილის 9—2 და საღამოს 4—6 სათ. რჩევა და დარიგება ათი შაური. მისამართი: დადიანის შესახვევი გ. კოსტავას სახლი № 17. 8 თ.

ქუთ. სადგ.-მამულო ბანკის მიწის მზომელი და თბილ. სადგ.-მამულო კომისიის მიწის მომწყობი

ვ. ს. ასათიანი

ადგენს მამულების სალიკვიდაციო და მიწის მოსაწყობ პლანებს. შუამავლობს ქართლ კახეთ აფხაზეთში მიწების შემძენ-გამყიდველთა შორის. მიწის შემძენ გლეხთა ამხანაგობებს აძლევს შეღავათიან ტეხნიკურ დახმარებას. ცნობების მიღება შეიძლება ქუთაისში: ა) სადგილ-მამულო ბანკში, ბ) პროვიზორ კახიანის აფთიაქის მაღაზიაში, ქალ. თეატრის პირდაპირ, გ) ვ. ს. ასათიანის ბინაზე, ი. ჭიჭინაძის ქ. № 8. სახლი რუხაძისა, თბილისში სადგილ-მამულო კომისიაში, თფილ. თავ.-აზ. დეპუტატთა საკრებ. ბინა, ბელინსკის ქ., № 1. ჭიათურაში შავი ქვის მრეწველ ალ. ხაბულიანთან. 9 თ.

მეურნეთა მიმართ.

თანამედროვე მომენტი მოითხოვს დაუყონებლივ ჩვენ გამოხმაურებასაც. უნდა გამოირკვეს, რაც შეიძლება მალე, ჩვენი აგრონომიულ ნიადაგზედ მომუშავეთა დამოკიდებულება, როგორც შექმნილ პოლიტიკურ მდგომარეობის მიმართ, აგრეთვე ურთიერთ შორის. დღემდის აგრონომიული მუშაობა იყო გაფანტული, დანაწილებული სხვადასხვა ორგანიზაციების შორის; არ იყო სისტემა, გეგმა შეთანხმებული მუშაობისა, რადგან გარემოება და მდგომარეობა, მეტი რომ არ ითქვას, ხელს გვიშლიდა. დღეს გვეღირსა ვიმოქმედოთ ისე, როგორც ამას მოითხოვს მეურნეობაში ჩამორჩენილი ჩვენი ქვეყნის საჭიროებანი.

ყოველივე ამის მოსაგვარებლათ აგრონომ ინსტრუქტორთა, სპეციალისტ მასწავლებელთა და სხვა მეურნეთა მიერ არჩეულმა დროებით ბიურომ და ქუთაისის სამეურნეო საზოგადოების საბჭომ გადასწყვიტა საჩქაროთ იქმნეს მოწვეული ქ. ქუთაისში, ქუთაისის გუბერნიაში მომუშავე აგრონომიული პერსონალი.

აგრონომები (როგორც საერობო, ისე სამიწადმოქმედო სამინისტროში მოსამსახურენი) ინსტრუქტორები. საცდელი და საჩვენებელი მინდვრების ხელმძღვანელნი და მოსამსახურენი, სამეურნეო სასწავლებლების მასწავლებელნი, სამინისტრო სასწავლებლებთან არსებული სამეურნეო განყოფილების ხელმძღვანელნი, სამეურნეო სამეურნეო სტაროსტები, საზოგადოების წარმომადგენელნი და ყველა სხვა რაიმე სამეურნეო დაწესებულებების წარმომადგენელნი და სხვა.

კრება დანიშნულია 27 მარტს დილის 11 საათზე ქ. ქუთაისში, შავი ქვის საბჭოს დარბაზში.

სამეურნეო საზოგადოების საბჭო.

დროებით ბიუროს წევრნი: 1) ქუთაისის მაზრის საერობო აგრონომი ვ. ფალავანდიშვილი, 2) ქუთაისის მევენახეობის და მეღვინეობის ინსტრუქტორი ლ. ქიქოძე, 3) ქუთაისის სამეურნეო სასწავლებლის მასწავლებელი ა. იობიძე.

18 მარტს ვაკეთა კლასიკურ გიმნაზიასა და ორბელიანის ქუჩას შუა

დავკარგე

სამი ჯვარი წმინდა გიორგისა მეოთხე, მესამე და მეორე ხარისხისა ერთი ოქროსი და ორი ვერცხლისა. მეორე ხარისხის 56376, მესამე ხარ. 7667, მეორე ხარ. 25307 ნომერი. მპოვნელს ვსთხოვ გადმომცეს 110 სათადარიგო პოლკი, საევაკუაციო რაზმში, ჯაკუმ ზატაიშვილს. მივცემ შესაფერ ჯილდოს დიდის მადლობით.

ავტონომია.

აქამდი სიტყვა „ავტონომია“ სასაშიშრო რამ იყო: ამ სიტყვის თქმასაც გაბედულათ ვერ ვახერხებდით. ახლა, მადლობა ღმერთს, დრო შეიცვალა: დღეს არა თუ გაცხარებული სჯა-ბაასი გვაქვს თვითმართველობაზე, ჩვენი საქმეების ჩვენი, სურვილისამებრ მოწესრიგებაზე, სრული იმედითაც ვართ აღჭურვილნი, რომ დღეს თუ არა, ხვალ მაინც ფართო ავტონომია მოგვენიჭება.

მაგრამ ჩვენს ხალხში, მასსაში, ჯერ ბევრს არა აქვს საკმაოთ წარმოდგენილი თუ რას ნიშნავს, რა შინაარსის არის ავტონომიური წესწყობილება. არა თუ ხალხში, ინტელიგენტებშიაც იშვიათათ შეხვდებით იმისთანას, რომელსაც რიგიანათ ქონდეს შესწავლილი ავტონომიის ძირითადი დებულებანი. გასაკვირველიც არ არის, რუსულს ენაზე დაიწერა ამ საგანზე ორიოდე სტატია მარტო 1905 წლიდან, როდესაც პოლონეთის ავტონომიაზე აღიძრა საკითხი.

ამიტომ, ვფიქრობთ, მეტი არ იქნება „სამშობლოს“ მკითხველებს გავაცნოთ რასაკვირველია, მოკლეთ-უმთავრესი დებულებანი, რომელნიც სახელმწიფოს ავტონომიურ წყობილებას ახასიათებენ.

ავტონომია ორი ბერძნული სიტყვიდან შესდგება: autos-თვითონ, და nomos-კანონი. აქედან ცხადია, რომ ეს იმისთანა სახელმწიფოებრივ წყობილებას ნიშნავს, რომელიც სახელმწიფოს რომელიმე ნაწილს, რომელიმე ერს, აძლევს კანონმდებლობის უფლებას.

ნუ დავივიწყებთ, რომ, როდესაც ავტონომიაზე ვლაპარაკობთ, ყოველთვის უნდა წარმოვიდგინოთ ორი სახელმწიფო, ორი ერი. პირველი არის თავი სახელმწიფო, იმპერია, ან, როგორც ზოგიერთი უწოდებს, მეტროპოლია. მეორე კი შედის ამ სახელმწიფოში, შეადგენს ამ სახელმწიფოს ნაწილს, მაგრამ იმისთანა ნაწილს, რომელსაც მინიჭებული აქვს ერთნაირი თავისუფლება, ავტონომია. მაშასადამე, აქ საკითხი იმაშია, რა დამოკიდებულობა უნდა იყოს ამ ორ სახელმწიფოებრივ ერთეულში და რა ნიადაგზე უნდა იყოს დამყარებული ავტონომიური წყობილობა.

ავტონომია ბევრ სახელმწიფოშია. არის გერმანიაში. მოეხსენებათ მკითხველებს, რომ გერმანიის იმპერია სხვადასხვა მოკავშირე სახელმწიფოებიდან შესდგება. რასაკვირველია, ამ სახელმწიფოებს თავთავისი თვითმართველობა, ავტონომია, გერმანიის იმპერიის ერთეულობას არ არღვევს. ავტონომია არის აგრეთვე ავსტრიაში, ჩრდილოეთ ამერიკის შტატებში, შვეიცარიის კანტონებში, ინგლისის კოლონიებში, განსაკუთრებით კანადაში, და სხ. რაც შეეხება რუსეთს, აქ მარტო ფინეთშია სრული ავტონომიური წყობილება.

მაგრამ ნუ ვიფიქრებთ, რომ ყველა ამ ქვეყნებში ერთი და იგივე ტიპის ავტონომია იყოს. ნამდვილ ტიპს პოლიტიკური ავტონომიისას წარმოადგენენ ჩრდილოეთ-ამერიკის შტატები, შვეიცარიის კანტონები, ავსტრიის ერები, და ფინეთი. მაგრამ ამ სახელმწიფოებშიც ცოტას თუ ბევრს სხვადასხვაობას ვხედავთ.

ავტონომიაში განარჩევენ ორ უმთავრესს ტიპს. ერთს უწოდებენ ადმინისტრატიულ ავტონომიას, მეორეს—პოლიტიკურს. ესენი იმით განსხვავდებიან ერთი მეორისაგან, რომ ადმინისტრატიული ავტონომია მოკლებულია კანონმდებლობის უფლებას, რომელიც ეკუთვნის პოლიტიკურ ავტონომიას. იმ ერისთვის, სადაც ადმინისტრატიული ავტონომია არის, სახელმწიფო სდებს კანონს. სადაც კი პოლიტიკური ავტონომია არის, იქ თვით ავტონომიურათ მოწყობილი ერი გამოსცემს ხოლმე თავისთვის საჭირო კანონებს.

ისტორია და მასთან პოლიტიკური სიმართლე გვიჩვენებს, რომელი ერისთვის რა ტიპის ავტონომია არის საჭირო. არის იმისთანა ნაწილები სახელმწიფოისა, რომელნიც ცხოვრობდენ და დამთავრდენ ერთნაირ პირობებში, ერთად დედა სახელმწიფოსთან. ამ ნაწილებს განსხვავებული, განსაკუთრებული კანონმდებლობის უფლება არ ეჭირვება. მაგრამ არის იმისთანა ნაწილები სახელმწიფოისა, როგორც, მაგ., საქართველო, რომელნიც, სანამ შეუერთდებოდენ სხვა სახელმწიფოს, ცხოვრებდენ და იზრდებოდენ სულ სხვა ისტორიულ პირობებში, ქონდათ სხვა ენა, შეიმუშავეს სხვა კულტურა, სხვა ზნე ჩვეულებანი. ამ ერებს რასაკვირველია, როგორც სამართლიანათ ამბობს რეინგარდტი, უნდა ქონდეს კანონმდებლობის უფლება.

მაგრამ რას უნდა შეეხოს ეს კანონმდებლობა?

ამაზე სხვა დროს.

დ. გურული.

ქართული პრესა.

გამოვიდა ქართველ სოციალისტ-რევოლიუციონერთა გაზეთი „შრომის“ პირველი ნომერი. გაზეთი შინაარსიანი არის. სხვა წერილებთა შორის მოყვანილია მათი კრების ანგარიში ქუთაისში. მათ გამოუტანიათ რეზოლიუცია, რომელიც იუსტიციის მინისტრს კერენსკისათვის გაუგზავნიათ. მიულოცავენ რა რუსეთს განახლებას და უცხადებენ ნდობას ახალ მთავრობას, აღნიშნავენ რევოლიუციაში შემდეგს:

„ღრმათ გვწამს, რომ ჩვენი პარტია, რომელმაც თავისუფლების საქმეს შესწირა თავისი საუკეთესო ძალები, იქნება აგრეთვე განმათავისუფლებელი რუსეთში მოსახლე ცალკე ერების, მათ შორის ქართველებისაც. ეჭვი არა გვაქვს, რომ თქვენ ყოველ ზომით მხარს დაუჭერთ ქართველი ხალხის პოლიტიკური ავტონომიისადმი ერთსულოვან მისწრაფებას“.

* * *

გაზეთ „საქართველოშიც“ მეტად საყურადღებო მოწინავე არის დაბეჭდილი, სადაც სხვათა შორის სწერია:

„საქვეყნო საქმე როდი გაკეთდება, თუ მას მარტო ერთი კლასი, წოდება ან პარტია გამოექომაგა, ხოლო დანარჩენები განუდგნენ.—საქართველოს უფლება საქართველოს ყოველმა შვილმა უნდა დაიცვას. საერთო სამშობლოს თავისუფლება ყოველმა ქართველმა და მთელმა საქართველომ უნდა გამოსჭედოს. სამშობლოს გარშემო ყველა უნდა შემოკრბეს, ყველა წოდების, პარტიის, ყველა სარწმუნოების და სქესის ქართველი, ყველა უნდა შეიკრიბოს, თანხმობა და ერთობა უნდა ჩამოვარდეს. ქართველი გლეხი, ქართველი მუშა, ქართველი ბურჟუა, ქართველი აზნაური, სამღვდელო პირი თუ ერის კაცი, ქართველი მაჰმადიანი თუ ქართველი მართლმადიდებელი, ქართველი კათოლიკე თუ ქართველი ებრაელი, ერთი სიტყვით ყველა, მთელი ქართველობა, რომელსაც ცად საქართველო თავს ახურავს, უნდა ერთკაცივით ადგეს და ერთის ფიქრით და ზრახვით განიმსჭვალოს, სამშობლოს უფლების აღდგენის ფიქრით. აი ვინ უნდა დაიცვას საქართველოს უფლება! ჩვენი მოწოდება [illegible]

ლით, კვლავ ერთობისა და თანხმობისკენ მოუწოდებთ ყველა პარტიას და მთელ ქართველობას. და ვინც განზე გდგება და ამგვარ ერთობას ჩაშლის, იმას პასუხს აგებინებს ქართველი ერი და საქართველო!

რუსული პრესა.

გ. პლეხანოვი და რუსეთის პროლეტარიატის მიზანი.

გაზ. „რუსკ. სლოვო“-ს სანრემოდან არსებულ მომენტზე და რუსეთის პროლეტარიატის პირდაპირ მიზანზე გ. პლეხანოვი სხვათაშორის სწერს: „შეერთებულმა პროლეტარობამ უთუოდ მხარი უნდა დაუჭიროს ახალ დროებით მთავრობას. რადგან ეს მთავრობა ებრძვის გარედან მოსალოდნელ ხიფათს (იგულისხმება გერმანია) პროლეტარობაა რომ ახალ მთავრობას გვერდში არ ამოუდგეს მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ იგი ბურჟუაზიულია, ეს მოასწავებს კონტრ რევოლიუციას და წინსვლის წინააღმდეგობას. თუ ვიტყვით, რომ ჩვენში ჯერ ცოცხალია რეაქციონური სული და ფხიზელ ფერხულს ეწევა ამავე დროს ნუ დავივიწყდება, რომ სამშობლოს კარზე სდგას მრისხანე გერმანელი, რომელიც აუცილებლად უკვე უნდა ვაგდოთ ძვირფას თავისუფლების შესანარჩუნებლად.

გერმანიამ რომ გაიმარჯვოს იგი ეკონომიურად დაგვიმონებს და ძველ-პოლიტიკურ რეჟიმს აღადგენს. რუსეთის პროლეტარობა ბრმა იქნება თუ ამ უსაშინელ უბედურებას ვერ დაინახავს.

ყურს ნუ უგდებთ ზოგიერთ ქვეყნების პროვოკაციას.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიის უმრავლესობა შენ მოგიწოდებს განცალკევებას, მაგრამ არ იწამო, რადგან მომწოდებელ შეიდემანი ყოველთვის მარჯვენა ხელი იყო კანცლერ ბეთმან ჰოლვეგისა.

მჭიდრო კავშირი ყველა მოქალაქე ერთან რევოლიციურ პროლეტარიატისა ნორჩ თავისუფლების გასამაგრებლად. ვერიდოთ ორპირულ მრჩევლებს და მათ აგიტატორ აგენტებს.

აი, დღევანდელი ტაქტიკა რუსეთის პროლეტარიატს“.

ასე იქცევა დღეს პლეხანოვი, როდესაც სამშობლოს განსაცდელს ითვალისწინებს, საერთო უბედურებასთან ბრძოლაში ყველას აკავშირებს იდეურ მოწინააღმდეგეთ ურიგდება; სავალალოდ ამას ვერ ვხედავთ ჩვენში. ჩვენი მარქსისტები ისევ ძველის გზით დადიან და ყურს არ უგდებენ მათ მამა მთავართა მომენტს შესაფერისად მოქმედებას.

ასეთი „ერთობა“?

სახიფათოა ის „ერთობა“, რომელსაც ჩვენი სოციალ-დემოკრატები ამყარებენ ჩვენს ქვეყანაში. სახიფათოა, რასაკვირველია, უწინარესად ჩვენი დაქსაქსული ცხოვრებისათვის. ასეთი დრო, რომელსაც ჩვენ განვიცდით, ყველა სხვა ერებს აერთებს და ერთის გრძნობით და სურვილით იპყრობს, ჩვენი სოციალდემოკრატები კი თავიდანვე აუმხედრდნენ მთელ ქართველ ერს და რევოლიუციის პირველ დღიდანვე, როგორც წინეთაც ქართველი ერის წმინდათა წმინდა მისწრაფებებს სასტიკოდ უცხადებენ. ჩვენი სოციალდემოკრატები ამ ჟამად ყველასთან შეთანხმებულნი და შერიგებულნი არიან. სომხის შოვინისტებისა ხომ მათ განსაკუთრებული სიყვარული აქვთ. ხატისოვი და ჟორდანია სინონიმებად გახდა. იმათ უკვე ალარავინ არჩევს ერთმანეთისაგან!. სამწუხაროა ასეთი ტაქტიკა, სამწუხარო და თან სახიფათო ჩვენის საქმისთვის და აგრეთვე საერთო სარევოლიუციო საქმისთვისაც.

ასეთი ტაქტიკა არღვევს და შლის თავისუფლების საქმეს. ჩვენი სოციალდემოკრატები სხვებს მოუწოდებენ — ყველივე დაივიწყეთ და მთელი თქვენი ძალღონით რუსეთის რევოლიუციის საქმეს ემსახურეთო. თვით კი სპობენ წრის თავისუფლებას. იდეიურ მოწინააღმდეგეთ კრებებზე არ ალაპარაკებენ, კიდეც სცემენ და კრებიდან ძალით აძევებენ... თავისუფლებას ემსახურებიან?.. სამწუხაროდ არა. იმ დათვის მაგალითს უფრო მისდევენ, რომელმაც თავის მეგობარ მეუდაბნოეს უგუნური სიყვარულობით თავი გატეხა.

რევოლიუციას განამტკიცებს მხოლოდ ყველა საზოგადოებრივ ძალთა გაერთიანება და შეთანხმება. ცუდს სამსახურს უწევს თავისუფალ რუსეთს, ვინც ამ ძალებს ქსაქსავს და შლის. ხატისოვი და ჟორდანია მარტო ვერ დაამყარებენ თავისუფლებას ვერც რუსეთში და ვერც ჩვენში. კიდევ სხვა ძალებია ამისთვის საწირო. ჩვენი დასელები ყველაზე გაბატონებას სცდილობენ, არავის ანგარიშს არ უწევენ, არავის არაფრად არ იჩნევენ. გაბატონდენ თბილისის აღმასრულებელ კომიტეტში სომხებთან ერთად და თავის თავი მსოფლიოს მხსნელად მოაქვთ და სხვები კი რევოლიუციის მტრად და მოღალატედ? მათი გაზეთი „ერთობა“ გამუდმებით ქართველ ნაციონალისტების ღალატის შესახებ სწერს. ვითომც ქართველი ეროვნული ჯგუფები ღალატობენ თავისუფლების საქმეს იმიტომ, რომ ისინი საერთო თავისუფლებასთან ერთად თავის ეროვნულ მიზნებს არ ივიწყებენ! ვისთვის არის საჭირო ასეთი დემაგოგია? იქნებ ეს გამოსადეგი იყოს ჩვენ სოციალ დემოკრატებისთვის ძველ თვითმპყრობელობის ნანგრევებზე თავის თვითნებობისა და ძალმომრეობის გასამართლებლად, მაგრამ საკადრისია ასეთი საშუალებისთვის მიმართვა? „ერთობა“ რომ სწერს — ქართული ეროვნული პარტიები რუსეთის რევოლიუციის საქმეს ღალატობენ და კონტრ რევოლიუციას ამზადებენო, რამდენად ეს მართალია, მათ კარგად უწყიან, მაგრამ ხომ შესაძლოა, რომ ეს საზიზღარი ცილისწამება სხვებმა ჭეშმარიტებად მიიღონ? ეს არის თავისუფლების სამსახური? ეს არის „ერთობა“?

(სქ.)

ახალი მთავრობა.

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროში.

პეტროგრადი, 17 მარტი. ოფიც. ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ დაადგინა, აქციონერულ საქმეებში სრული უფლებრივ თანასწორობის გამოცხადება. ეროვნული შეზღუდვა ვაჭრობა მრეწველობის დარგში გაუქმებულია. გადასინჯულ იქნება 910—915 წ. ვაჭრობა მრეწველობის წესები, რომლებიც მომენტის შესაფერისად უნდა გადაკეთდეს.

ჰელსინგფორსი. 17 მარტი. იუსტიციის მინისტრმა კერენსკიმ ინახულა გარნიზონის ცალკე ნაწილები გენერალ გუბერნატორი და მისი თანაშემწე. სახალხო სახლი სავსე იყო ხალხით. მინისტრმა მიულოცა იქ მყოფ რუსეთის დემოკრატიის სახელით. მინისტრს სურს შეკრას მჭიდრო ამხანაგური კავშირი ფინეთის მართველთან. უკანასკნელი მან გადაკოცნა. შემდეგ აღიარა ფინლიანდიის თავისუფლება. მინისტრის სიტყვას ხალხი ტაშის ცემით და ურას ძახილით შეხვდა.

ფლოტზე მსახურთა ურთიერთობის მოწესრიგება.

პეტროგრადი. 17 მარტი. ბრძანება ფლოტს და საზღვაო უწყებას 16 მარტიდან 1917 წლიდან.

რათა მატროსების, კონდუქტორების და აფიცრების ყოფა-ცხოვრება იქნეს შეთანხმებული თვითმმართველობის საფუძველზე თავისუფლების და ერთობის უდიდეს პრინციპებთან შეთანხმებით და რათა შემუშავებულ იქნეს ოფიცრების, კონდუქტორების და მატროსების ურთიერთობის საზოგადო პრინციპი, საზღვაო მინსტრთან სდგება კომისია (?) თავმჯდომარეობით, რომელშიაც შევიდა სახელმწიფო სათათბიროს წევრი ნ. ვ. სავვინი, თავმჯდომარის ამხანაგათ დაინიშნა ხაზინადარი მთავარი საზღვაო შტაბის პირველი რანგის კაპიტანი ევგოროვი. კომისიაში მუშაობისათვის, მიწვეულნი იქნებიან მცოდნე პირნი თავმჯდომარის არჩევით და აგრეთვე ფლოტების ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. ხელს აწერს საზღვაო მინისტრი ა. გუჩკოვი.

ფინლიანდია.

პეტროგრადი. 17 მარტს ჰელსინფორსიდან დიდის ამბით გამოაცილეს სვინხვუდი. ფინლიანდიის სტუდენტობამ სვინხვუდს სთხოვა, რომ მან კვლავ დაიცვას მისი ინტერესები პეტროგრადში. სენატის ახალშემადგენლობაში პირველ სხდომაზე ილაპარაკეს, რომ ფინლიანდიის საკეთილდღეოდ და ასაყვავებლად აუცილებლად საჭიროა კონსტიტუციის გამაგრება ვაჭრობა მრეწველობის და სოფლის მეურნეობის თავისუფლად განვითარება და მშობლიურ ენის სრული თავისუფლება შინაურ მმართველობაში.

„ომი ბოლომდის“.

პეტროგრადი. 17 მარტი. რკინის გზის ბატალიონის მეორე აფიცრების და სალდათების შეერთებული კრებულის თავმჯდომარემ შემდეგი განცხადება გამოგზავნა სახელმწიფო სათათბიროში: მეორე რკინის-გზის ბატალიონის აფიცრების და სალდათების მჭიდრო ოჯახი, რომელიც ომის დაწყებიდან მოქმედ ჯარში იმყოფება, შეშფოთებულია იმით, რომ ჯარის ზურგით ისმის ხმა: „ძირს ომი“ საპიროდ რაცხს შეატყობინოს დროებითი მთავრობას, მუშების და სალდათების დეპუტატების საბჭოს, რომ იმათ აუცილებლად მიაჩნია ომი გაგრძელდეს იქამდის, ვიდრე გერმანეთი იქნება რეაქციის ფუძე და შეიარაღების განვითარების მიზეზი მშვიდობიანობის დროს. მხოლოდ გერმანეთის წინააღმდეგ ბოლომდის ბრძოლა უზრუნველყოფს თავისუფალი რუსეთის თავისუფალ განვითარებს.

გერმანია

სტოკჰოლმი 16 მარტი. ბერლინიდან იუწყებიან, რეიხსტაგში ბიუჯეტის განხილვის დრო იმპერიის კანცლერმა ბეთმან ჰოლვეგმა რუსეთის შესახებ სიტყვა წარმოსთქვა.

„ნიკოლოზ მეორის გადაყენებით ისტორიულ სამოქმედო ასპარეზიდან წავიდა ის პირი, რომელიც სასახლის წრის გავლენით მოკავშირეებთან ერთად გერმანიასთან სისხლის ღვრას აწარმოებდა. გერმანიას თავის დღეში არ სურდა ომი მაგრამ იგი იძულებულ ჰყო ნიკოლოზ რომანოვმა ჩვენ რუსის ხალხის სამტრო საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს და გვსურს რუსეთის თავისუფლებას მხარი დაუჭიროთ. ჩვენი ერთად ერთი უპირველესი სურვილაა საჩქაროდ ზავის ჩამოგდება.

გერმანია

კანცლერი ზრდილობიანის კილოთი შეეხო ამერიკასაც. და განაცხადა, რომ გერმანიას სურს ამერიკასთან კონფლიქტის მოსპობა და სრული მეგობრობის აღდგენაო.

17 მარტი. ღამით ბაქოში გამოიარეს თბილისის კომისარიატის წევრებმა ხარლამოვმა ჯაფაროვმა და პაპაჯანოვმა სადგურზე მათ შეხვდათ აღმასრულებელი კომიტეტი და მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების წარმომადგენლები. დეპუტატები გაემგზავრნენ ქალაქის თვითმართველობის შენობისკენ. იქ მათი მონაწილეობით მოხდა თათბირი აღმასრულებელი კომიტეტის მათ ფიცი დასდეს ახალი მთავრობის ერთგულებაზე. მათი სვლა ტრიუმფს გავდა ყოველგან ხალხი დიდი აღფთოვანებით და ტაშის კვრით ხვდებოდა. საღამოს საზეიმო საღამო შესდგა საზოგადო ორგანიზაციათა სადაც ხარლამოვმა და პაპაჯანოვმა სიტყვა სთქვეს. მოიხმეს ხალხი შეერთებული მუშაობისაკენ, განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიექცეს სურსათის საკითხს.

აღმასრულებელმა კომიტეტმა, მუშათა, სალდათთა და ოფიცერთა დეპუტატებმა ერთხმათ აღუთქვეს მათ დაეხმარონ ახალ მთავრობას ყოველ დარგში და აგრეთვე საქართველოს საქმეების მოწყობაში. ღამით დეპუტატები თბილისს გაემგზავრენ: ბაქოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ ქალაქის თავმა დეპეშა მიიღო მიწათმოქმედე მინისტრიდან, რათა დაიჭიროს მან ადგილი სურსათის მოწესრიგებისა საქართველოში.

თბილისი. სალდათთა დეპუტატები განიხილავს გეგმას „წითელი საბჭოსას“, სალდათთა დეპუტატებისას, საბჭომ გადასწყვიტა დანიშნოს დროებითი ოფიცრების და სალდათების საბჭო, რიცხვი უნდა იქნეს ორივედან თანასწორი.

სტოკჰოლმი. 17 მარტი. ბერლინიდან იტყობინებიან: რეიხსტაგმა მიიღო არაჩვეულებრივი ბიუჯეტი პირველად მთელი ომის ხნის განმავლობაში, რომელსაც ყველა სოციალისტებმა წინააღმდეგობა გაუწიეს. დღეს რეიხსტაგის პირველი სხდომაა. ლაპარაკი იყო რუსეთის რევოლიუციაზე. სოციალისტ ბერნშტეინმა შემდეგი სთქვა: მაგალითები გვიმტკიცებს, რომ გერმანიის მთავრობას უნდობლად ეპყრობიან. პარტია ყველგან ახალი ხარჯთაღრიცხვის წინააღმდეგ იმოქმედებს. ყველა ნეიტრალური სახელმწიფოები გერმანიას უნდობლობას უცხადებენ, რისთვისაც გერმანიამ რაც შეიძლება მალე უნდა შეკრას ზავი სრულად გულწრფელ და მისაღებ პირობებში. რუსეთში მომხდარი ცვლილება სოციალ დემოკრატების მეთაურობითაა გამოწვეული და ეს მოვლენა უფრო გვარწმუნებს, რომ სოციალ დემოკრატიის შეძლება თვისი მშვიდობიანი პოლიტიკის განხორციელებაა. სოციალისტმა ნოსკემ განაცხადა: გერმანია უდიდესი ქვეყანაა, რომელიც დიდ თანხმობაშია მუშათა ორგანიზაციებთან. ის ხელმძღვანელობს, პოლიტიკის ისეთ პრინციპებით რომელიც არ უნდა დაიკარგოს. პრუსიის რეაქციონერთა სახელმწიფო სისტემა ეხლა მიუღებელია გერმანიის სოციალ დემოკრატიისათვის. საზღვარ გარეთიდან წინდაბას გვაძლევენ, რევოლიუცია მოაწყვეთო. თუ ამ რჩევას დავყვევით, მუშათა კლასს დიდი უბედურება მოელის. ჩვენ თვით ვიცით, რა უნდა ვქნათ. საზღვარ გარეთიდან ალარას ველით.

პროგრესისტი მიულერმეინინგენი: გერმანელი საქმეები უცხოთა გარევისს წინააღმდეგ ლაპარაკობს. ნაციონალ ლიბერალი შტრეზენანი აცხადებს: უკვე ფაქტადაა მისაღები, რომ შეზღუდვილი სამეფოს უფლება ველარ აღორძინდება. გერმანიაში არავინ უცხადებს სიმპატიას გადაყენებულ მეფეს და არც ცდილობენ მის დახმარებასო. კონსერვატორი ვესარპი ამბობს: ბევრსა გონია, თითქო რუსეთის დემოკრატიულ სახელმწიფოთა და რიცხვში შესვლის შემდეგ გერმანიაც ვალდებული იყოს მის მაგალითს გაჰყვეს. გერმანიის შედარება მის მოწინააღმდეგე ქვეყნებთან შეუძლებელია. ის ყველაზე მაღლა სდგას.

ვინც პრუსიის სამხედრო ჰეგემონიაზე ლაპარაკობს, მან უნდა ერთდროულად აღიაროს, რომ გერმანიამ ამით მხოლოდ მოიგო. რუსეთის რევოლიუცია ვერაფრით შესცვლის ჩვენს შეხედულობას იმის შესახებ, თუ რაც არის საჭირო გერმანიის აღმოსავლეთის საზღვრის უზრუნველსაყოფად.

პეტროგრადი 17 მარტი. სახელმწიფო სათათბიროს წევრის კოვალევსკის თავმჯდომარეობით შესდგა თათბირი აღზრდაგანვითარების საკითხები, იმპერატრიცა მარიას უწყების მიერ დაწესებულ სასწავლებლები. გადაწყდა უეგზამენოთ გადაიყვანონ კლასიდან კლასში მოწაფეები აგრეთვე გასათავებელ კლასებში მიეცეს ატესტატები ნიშნების მიხედვით გარდა სპეციალურ კლასებისა სადაც დაწესებულია ფრანგული ენის ეგზამენი. სააღდგომოთ მოწაფეები დათხოვნილი უნდა იქნეს 24 მარტს საზიარებლათ.

დეპ. ტულიაკოვის მოგზაურობა

პეტროგრადი 17 მარტი. დაბრუნდა სათათბიროს წევრი ტულიაკოვი, რომელიც ნიკოლაევში და სევასტოპოლში სამოგზაუროდ. იყო წასული შავიზღვის ფლოტი, როგორც მის სიტყვებიდან სჩანს, მზათ არის საომრად და გაფაციცებით ადევნებს თვალ ყურს მტერს. სევასტოპოლში არაფერი არა ვითარ უთანხმოება არ მომხდარა გემვე პირთა შორის. მიტინგებზე მატროსებმა ერთ სულოვნათ გამოაცხადეს თავისუფლებისათვის ბრძოლის სურვილი.

ტულიაკოვს, როგორც სათათბიროს დელეგატს ყველა აღტაცებით შეეგება. მან ინახულა რამოდენიმე სამხედრო გემები და სახელოსნო. მუშებმა განუცხადეს დეპუტატს, რომ ისინი ვალდებულად სთვლიან თავს იმუშავონ გაორკეცებულ სიმხნით. ნიკოლაევშიც იმავე აღტაცებით შეხვდენ ტულიაკოვს, როგორც სევასტოპოლში. როდესაც იგი უკან დაბრუნდა, გზაში ერთ სადგურზე მას სთხოვეს ვაგონიდან გამოსულიყო; მას გარს შემოერტყა აურაცხელი გლეხობა, რომელსაც ტულიაკოვმა პეტროგრადში მომხდარი ამბები, რამაც ფრიად კარგი შთაბეჭდილება მოახდინა გლეხობაზე.

მინისტრები მთავარ ბანაკში

პეტროგრადში 17 მარტი. დღეს 7 საათზე და 5 წუთზე მოსკოვის-ვინდავორკინის გზაზე მატარებლით მთავარ ბანაკში წავიდა დროებითი მთავრობის მთელი შემადგენლობა თავადი ლვოვის მეთაურობით. გუშინ იქვე გაემგზავრა სამხედრო მინისტრი გუჩკოვი.

ახალი ამბავი.

ქ. ქუთაისის საშვალო სასწავლებელთა დელეგატების დადგენილება ქ. ქუთაისის საშუალო სასწავლებელთა დელეგატების კრება არა სასურველად სცნობს გზას, რომელიც ამოურჩევია აღმასრულებელ კომიტეტს კომისარების დანიშვნის საქმეში და მომენტის უფრო შესაფერისად სთვლის რომ სახალხო განათლების კომისარიატის ორგანიზაციის საქმე მიენდოს თვით მასწავლებელთ, როგორც საშვალო, ისე დაბალ სკოლებისას.

19 მარტს მოხთა თერჯოლის საზოგადოების (შორ. მ.) კრება. ი[illegible] პარტიის წარმომადგენ[illegible] ხთა საბჭო დადგენილ კრების მიერ ერთხმად იქმნა 1. გამოიცვალოს ძველი რეჟიმის ადმინისტრაცია 2. გაეგზავნოს სალამი და გამოეცხადოს ნდობა ახალ მთავრობას, მუშათა, ჯარის კაცთა საბჭოს და სამართლის მინისტრს.

3. შეიქმნეს ისეთი პირობები, რომელიც უზრუნველ ყოფს ეროვნულ-პოლიტიკურ მოთხოვნილებებს. 4. დემოკრატიულ რესპუბლიკის დასამყარებლათ, ომის და ზავის გადას წყვეტად დაჩქარებულ იქნეს დამფუძნებელ კრების მოწვევა.

◆ **კვირას, 19 მარტს** ქუთ. ქალ. თეატრში წარმოდგენილ იქმნა „პატარა კახი“ 5 მოქმ. ისტ. დრამა აკაკისა. საზოგადოება ბლომად დაესწრო.

◆ **თბილისში** უკვე ჩამოვიდნენ კავკასიის კომისარები, რომელთაც სადგურზე აურაცხელი ხალხი შეხვდა. კომისარებმა დამსწრეთ მოკლე სიტყვით მიმართეს. ის აზრი გამოითქვა, რომ ამ ხანად აუცილებლად საჭიროა პარტიათა შორის შეთანხმებული მუშაობა და არც ერთმა პარტიამ არ იზრუნოს გეგემონიაზე. ქუჩებში გავლის დროს ხალხი კომისარებს აღტაცებით შეხვდა. ჩამოსულ კომისარებს კიტა აბაშიძე შეხვდა. კომისარიატის სხდომები ყოფილ სასახლის შენობაში მოხდება.

◆ ამ მოკლე ხანში ამბროსი პირველი გამართავს ქალაქის თეატრში დიდ სალიტერატურო საღამოს რომელშიდაც მონაწილეობას მიიღებენ საუკეთესო ძალები.

◆ **ქუთაისის რეალური სასწავლებლის** პედაგოგიურმა საბჭომ და მშობელთა კომიტეტმა შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა სახალხო განათლების მინისტრს. ქუთ. „რეალურ სასწავლებლის პედაგოგიური საბჭო და მშობელთა კომიტეტი მხურვალე სალამს გიძღვნის თქვენ გამოცდილ მეომარს თავისუფალ სკოლისა და მეცნიერებისათვის. ღრმად გვწამს ბრწყინვალე მომავალი რუსეთის სწავლა განათლებისა თქვენი ხელმძღვანელობით. და მზადა ვართ შევწიროთ ჩვენი ძალღონე თავისუფალ რუსულის სკოლის კეთილდღეობას.

◆ **შაბათს, 18 მარტს.** ქუთ. ქალაქის თეატრში წარმოდგენილ იქმნა და-ძმა 5 მოქ. ისტ. დრამა ვ. გუნიასი.

უნდა დავგმოთ.

პირდაპირ აუტანელი შეიქნა ჩვენს ქალაქში მშვიდობიანი ცხოვრება. თავისუფლება მოპოვებული ხალხი საშიშ მდგომარეობაში იმყოფება ვიდრე ეს დესპოტიურ მმართველობის დროს იყო. რაშია საქმე? ქუჩებში დადიან ნაკლებ შეგნების და მოფიქრების მქონე ბრბოები და წყალს ამღვრევენ. ჯარის კაცებს და სხვა ჩვენი ცხოვრების არ მცნობ უცხოელებს იმ მიმართულების წინააღმდეგ ამხედრებენ, რომელნიც დღევანდელ ძვირფას მომენტში თავის ქვეყნის მონობისგან დახსნას სცდილობენ.

„სოციალ დემოკრატიის პარტიის სახელით ეს ვაჟბატონები ლაპარაკის ნებას ბას არავის აძლევენ, იდეურ ბრძოლაში სრულ პირად სიძულვილს იჩენენ... როდესაც მოპირდაპირისგან დამარცხებას ხედავენ ფიზიკურ ძალას მიმართავენ.

ამბოლო დროს ამოიჩემეს ეროვნულ იდეის მიმდევარი მოსწავლენი მათ თავისუფალ ლაპარაკის ნება ლაპარაკის საშუალებას უსპობენ, სოფლებში წასულებს უკან აბრუნებენ. ეს კიდევ არაფერი ყოველ რუსის ჯარის კაცს ყურში ჩააწვეთეს რომ მოწაფენი საქართველოს გამოყოფას და ქუთაისის გარნიზონის ამოწყვეტას აპირებენო.“ რის გამოც ჯარისკაცები საშინლად სდევნიან ხსენებულ მოწაფეთ. ამაზე საზიზღარ პროვოკატორობას არც რუსეთის პროვოკატორთა მამა მთავარი ზუბატოვი ეწეოდა. ვაი ჩვენ ბრალი რა რიგ დავკნინდით!.. ორი მუჭა ქართველობა თავის თავს სამარეს უთხრის... მაგრამ შეუძლებელია ასეთ მდგომარეობის გაგრძელება. იმ პარტიის მამამთავრებმა, რომელთა მამებიც დღეს ამ დამღუპველ როლს ასრულებენ ვალდებულნი არიან ალაგმონ ეს ვაჟბატონები; ჩვენს ქვეყანას გარეშე მტერიც ეყოფა, რომ შიგნით მოისმა ულირსმა შვილებმა არ გატეხონ ციხე. და მის მომაკვდინებელი მახვილი არ ჩასცენ ერს გულში, თუ პირადათ მათ არას

სწამს სამშობლო რა, უფლება აქვთ, რომ ამ სამშობლოს სამსახურში სხვას გზა დაუხშონ და ებრძოლონ. ნუ თუ არ იციან, რომ შინაურ წყლის ამღვრევით ისინი კონტრ რევოლიუციას ქმნიან? დროზე დამლუპველ შეცდომებს გამოსწორება!.. დროზე გონს მოსვლა, თორემ სიმართლე თავს არ დამალავს და ერთ დღეს წამებული ერი სასტაკად გაგას ამართლებთ. ძრწოდეთ ერისა და მის სამსჯავროს წინაშე!..

ირ—დი.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის კრებაზე წარმოთქმული სიტყვები.

(15 მარტი ქალაქის თეატრი).

გ. ნაკაშიძის

ბატონებო, ნათქვამია „გააძევე ბუნება კარიდან, ის შემოვა სარკმლიდან და თუ იქიდანაც განდევნი, მაშინ უსათუოდ სადმე ჭუჭრუტანადან შემოძვრებაო,“ ეს თქმულება ცხოვრების ღრმა დაკვირვება-შესწავლით არის ნაკარნახევი და წარმოადგენს ისეთს ცხადს ჭეშმარიტებს, რომლის დარღვევა-უარისყოფა არ შეუძლია არავითარ ლოღიკასა და საღ, დაუბრმავებელს გონებას. ამიტომაც არის, რომ ეროვნული გრძნობა, ეროვნული თვით არსებობის სურვილი, როგორც ერთი უძლიერესი და უმთავრესი ბუნებრივი სულიერი მოთხოვნილება არის ისეთი თანდაყოლილი, ადამიანის არსებობის დასაბამიდანვე მასში ჩანერგილი თვისება, რომლის აღმოფხვრა, უარისყოფა შეუძლია თვით უკიდურეს კოსმოპოლიტისაგან რომელიც გაიძახის, მხოლოდ საქვეყნო იდეალები ბედნიერებაზე და ზერელედ დაჰყურებს რაღაც ვითომდა გაუგებარს, სამრცხვინო, ვიწრო ეროვნულ მისწრაფებათ. თვით ასეთი კოსმოპოლიტი ვერ წაუვა ბუნებას, ვერ დააღწევს თავს მის სამართლიან მოთხოვნილებათ, ვერ აუხვევს გვერდს იმ დიადს, შემოქმედ ეროვნულს ძალას, რომლითაც შებოჭვილია მთლად მისი არსება. მაგრამ, ბატონებო, ისტორიამ იცის მაგალითი იმისა, თუ რანაირად შეუძლია დასციპლინას, თანდათანობით, მუდმივ შეკავებ-შეზღუდვას ბუნებრივი მოთხოვნილების მოდუნება, მომაკვდინება და თითქმის სრული ატროფიის მოხდენა უკანასკნელისა. ამის თვალსაჩინოდ საჭიროა გახსენება იეზუიტების მოქმედებისა ევროპაში, რკინისებური დისციპლინა სკოლით ისე დაახშეს კაცობრიობის საუკეთესო ნაწილში ყოველივე ბუნებრივი სულიერი მისწრაფებანი, რომ თითქმის მთელი ევროპა თვის ყურ-მოჭრილ, ყოველივე თვითმოქმედებას მოკლებულ ერთად ერთი დოგმის, პაპის გაღმერთების მაღიარებელ მონა-მსახურად გადააქციეს და ამით კაცობრიობის შემოქმედების ნიჭს მძიმე, აუტანელი ბორკილი დაადვეს. ასეთი ისტორიული მაგალითის მცოდნეს ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველივე მოძღვრება-მიმართულება, რომელსაც სურს თუ გინდ დროებით, შეაჩეროს ჩაჰკლას ჩვენში ჩვენი საუკეთესო სულიერი მისწრაფება ეროვნული გრძნობა, ზარალის მეტს არას მოუტანს ჩვენს სამშობლოს. მე აზრად არა მაქვს ს. დემოკრატთა მოძღვრების, მათი იდეის იუზეიტების იდეიასთან შედარება, არა ბ-ტონებო, თვით იდეა მშვენიერია, დიდებულია, მაგრამ, როდესაც ამ იდეით დატყვევებული გადაცემულნი, ისინი ანგარიშს არ უწევენ სინამდვილეს და და შორეულ ბედნიერებით მოხიბლულნი გვერდს უხვევენ ყოველ დღიურ, ცხად ცხოვრებას და ამით მთელს ჩვენს ერს დიდ განსაცდელს უმზადებენ, მე არ შემიძლია არ ვსთქვა, რომ ეს მოძღვრება არ შეეფერება ჩვენს ცხოვრებას, არ არის ბუნებრივ საფუძველზე დამყარებული, მოკლებულია შემოქმედ ძალას და ვით მთვარის ფერმკრთალ, ხელოვნურს შუქს არ შეუძლია ცხოველმყოფელი, სიცოცხლის მომნიჭებელ მზესავით ბუნების მკერდის ამწვანებ-აფერადება სწორედ ისე არც მას არ შეუძლია ხალხის გულში გაიდგას ღრმად ფესვი და მოიკიდოს იქ მტკიცე ნიადაგი... მაშ, თუ ეს ასეა, რით აიხსნება ის უცნაური მოვლენა, რომ ქართველი ხალხის დიდი უმეტესობა სწორედ ამ მოძღვრების მიმდევარია დღეს, რით აიხსნება ამ მოძღვრების მქადაგებელთა გავლენა ბატონობა ჩვენს სამშობლოში? ვიცი, გაკვირვებით შემეკითხებით თქვენ. თუ ნებას დამრთავთ, ამ კითხვის გარკვევა-გასაშუქებლად, მსურს ერთი პატარა მაგალითი, ერთი პაწია ალეგორია მოვიყვანო: აფრიკის ხრიოკ თვალუწვდენელ უდაბნოში მიდიოდა მგზავრთა ქარავანი. უეცრად ძლიერი ქარი სამუმი ამოვარდა, რათა არ გაფანტულიყვენ და ულმობელ სტიქიის ან შიმშილის მსხვერპლნი არ გამხდარიყვენ, მგზავრები ფიცხლავ შეჯგუფდენ და ერთად თავმოყრილნი უცდიდენ საშინელი ქარის დაწყნარებას. ხოლო ერთმა მგზავრმა ვერ მოასწრო მათთან შეერთება და, როდესაც ქარმა ჩადგა გამოირკვა, რომ ის მარტოდ დარჩენილიყო. ამხანაგების კვალი აღარსად სჩანდა. ირგვლივ მხოლოდ განუსაზღვრელი გადაბუგული უდაბნოს სივრცე გადაშლილიყო. შეწუხებული მგზავრი ბევრს აცეცებდა იმედებით იქა-აქეთ თვალებს, ეძებდა კვალს, დაშორებულ ამხანაგებისას, ეძახდა მათ გამწარებული, მაგრამ სრულიად ამაო იყო ყოველივე მისი ცდა, ყოველივე ლოდინი. გავიდა დღე, გავიდა მეორე, შიმშილ-წყურვილით შეპყრობილი, აუტანელ სიცხის მიერ განაწამებ-შეწუხებული უნაყოფო სირბილ ხეტიალით დაქანცულ-დატანჯული, ყოველივე იმედებ დაკარგულ-გაცრუებული ვერ უძლებს მასზე მოზღვავებულ ტანჯვა-ვაებას და უგრძნობლად ეცემა მიწაზე, რომ... სწორედ ამ დროს მის თვალ წინ გარდაიშლება მშვენიერი წარმტაცი სანახაობა ის ხედავს მწვანედ აბიბინებულს, ხავერდოვან მდელოს მოჩუხჩუხე ანკარა ნაკადულებით და მიმზიდველ გემრიელ ნაყოფით დაყურსული ფინიკის პალმებს, რომელნიც ალერსით და სიყვარულით იწვევ-იპატიჟებენ მას თვისკენ და მშიერ-მწყურვალს ჰპირდებიან ტკბილი ნაყოფით და გამაცხოველებელ ანკარა წყაროთი გამასპინძლება გამოცოცხლებას, ხოლო დაქანცულს-დავრდომილს, ლაღად და საოცნებოდ აშრიალებული მდელო ჰპირდება დასვენება-ნეტარებას და ეს ყოველივე იმყოფება რამოდენიმე ფეხის გადადგმაზე მისგან. ერთი წუთის წინედ სასო-მიხდილი მგზავრი სიხარულით წამოვარდება და გაექანება ამ მშვენიერ, სამოთხისებურ ადგილისაკენ, მაგრამ, დახე საკვირველებავ, რაც უფრო და უფრო წინ მიილტვის მგზავრთ მისკენ, მით უფრო და უფრო შორდება მას ეს სანეტარო ადგილი- სანახაობა და ის, რაც მას მხოლოდ რამოდენიმე ფეხის ნაბიჯის იქით ეგონა და სულ ადვილად მისაწვდომად მიაჩნდა, რაღაც უმოწყალო განგების მიერ მისთვის მიუწვდომელი შეიქმნა. თუმცა ეს ადგილი კვლავ რამოდენიმე ნაბიჯით იყო მასზე დაშორებული. მგზავრი შეიპყრო მხოლოდ ერთმა უსაზღვრო სურვილმა რამენაირად მიეწვია ამ სამოთხისადმი,მას დაავიწყდა დაქანცულობა,ხოლო შიმშილ-მწყურვალით კიდევ უფრო შეპყრობილი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა დაედევნა ასე ახლოს მყოფს, ანდამატურად მიმზიდველს წარმტაც მოჩვენებას; ამ დროს, გამოჩნდებიან უკან მისი ამხანაგები, რომელნიც ეს მესამე დღეა, რაც შეწუხებულნი დაეძებდნენ მას; ისინი ხედავენ, რომ ის მისდევს გამწარებით რაღაც უჩინარს მათთვის, უკვირთ მისი საქციელი და კიდეც ეძახიან, რომ შეჩერდეს და აუხსნას მათ, რას ნიშნავს ეს მისი უცნაური მოქმედება, მაგრამ მგზავრს არ უნდა გაიგოს ამხანაგების ძახილი, სწყევლის კიდეც მათს მოსვლას, არც იხედება უკან და მხოლოდ ერთი გრძნობით, ერთი მიზნით შებოჭვილ შეპყრობილი რათა როგორმე მიაღწიოს სანეტარო ადგილს და დასტკბეს ბედნიერებით, თავგამოდებით მიილტვის წინ, მისდევს გამწარებით მზაკვრულ მოჩვენებას და ბოლოს უკანასკნელი ძალა-გამოლეული, ღონე მიხდილი ვარდება პირქვე და სულს განუტევს. ის ხდება მსხვერპლი ჰალიუცინაციის მიერ მოგვრილ—დასახულ მოჩვენება—მირაჟისა... და აი, ბატონებო, როცა მე ჩავუკვირდები ხოლმე იმ უცნაურ მოვლენას, თუ რატომ არის დღეს დღეობით ჩვენს ხალხში გამეფებული სოციალ-დემოკრატთა მოძღვრება, თუმცა ის ქართველი ხალხის სულის კვეთებას არ შეეფერება, მე ძალაუნებურად გამახსენდება ეს სურათი. ქართველი ერი, როგორც ის მგზავრი, ულმობელი ისტორიის ქარტეხილის მიერ ასცდა თავის ბუნებრივ გზას და სრულიად მარტო მყოფი, სხვისი მონობის უღელ-ქვეშ კვნესარე, ათასგვარ ჩაგვრა-გაჭირვებათა გამომცად-გადამტანე, ყველასაგან დევნილი ბოლოს გატყდა წელში და სასო წარკვეთილებას მიეცა მან დაჰკარგა იმედი ოდესმე თავისუფლად ამოსუნთქვისა, უკეთესი ბედნიერი ცხოვრების დადგომისა, ის თითქმის დაემორჩილა თავის მძიმე, მონურ ხვედრს. რომ სწორედ ამ დროს შემოდის ჩვენში მოძღვრება სოციალიზმისა, რომელიც მონას, ჩაგრულს და უფლება აყრილს, ხალხს შიმშილ-წყურვილით ილაჯ გაწყვეტილს-ჰპირდება თავისუფლებას, ერთობას, ძმობას, თანასწორობას და ქვეყნად სამოთხის დაარსებას. ამ არაჩვეულებრივმა საოცნებო ჰანგებმა მოჰხიბლეს, მოაჯადოვეს ხალხის გრძნობისებული, სანეტარო, წარიტაცია ალთქმა დაპირებაზე გააბრუა, დაათრო მისი გონება და მხოლოთ ერთი სურვილით გატაცებული, რათა ადრე, რაც შეიძლება ადრე დამყარდეს ქვეყნად ეს ბედნიერება ქართველი ხალხიც, როგორც ყველაზე უფრო ჩაგრული და მომნატრე ამისა, გამწარებით, მთელი თავისი უკანასკნელი ძალ-ღონით დაედევნა ამ მზაკვრულ მოჩვენებას და არ სურს დაინახოს, არ სურს მიხვდეს, რომ ეს მხოლოდ მოჩვენებაა ჯერ, რომ ეს განუხორციელებელი უტოპიაა, რომლის მოპოება-მიღწევამდის მას შეუძლია სული განუტევოს, თუ ის დროზე თავს არ დააღწევს და არ გაიგებს თავის შეცდომას. მაგრამ ყოველ სიზმარს რაც უნდა მომხიბლველი იყოს ის როგორც ვიცით ბოლოს მაინც გამოღვიძება მოჰყვება და ჩვენც უკვე ვხედავთ ნათლად ნიშანს ამ გამოღვიძებისას და სრულიად ადრეა ის დრო როცა ჩვენი ერი მოიხედავს უკან, შეისმენს მხლებას და გამოერკვევა. ახლა მე მსურს რამოდენიმედ მაინც შევეხო იმ გარემოებას, თუ რამდენად გულწრფელად უწევენ ჩვენი სოციალ-დემოკრატები ანგარიშს ჩვენს ეროვნულს გრძნობებს და საერთოდ ეროვნულ იდეის მაღიარებელ პარტიათ. ჯერ კიდევ, როდესაც ბ. ევგ. გეგეჭკორმა ქუთაისში მომხდარ პირველ საჯარო კრებაზე თვისი და თავისი პარტიის სახელი განაცხადა, რომ ეროვნულ საკითხში ის ხალხის ხმას დაემორჩილებაო, მე უნებლიეთ მივაქციე ყურადღება იმ ერთი შეხვედით უმნიშვნელო მოვლენას, რომ მან ყველგან იხმარა სიტყვა „ხალხი“ და ერთხელაც არ უხმარია სიტყვა „ერი“. ამ უბრალო გარემოებამ ისე იმოქმედა ჩემზე, რომ ერთს ამხანაგთაგანს კიდეც ვუთხარი, რომ ამ „ხალხის“ ქვეშ ბ. ევ. გეგეჭკორი და მისი პარტია გულისხმობენ ალბად მხოლოდ თავიანთ მიმდევართ და რადგანაც იციან, რომ მათი მიმდევარნი მეტია და მათ ყოველთვის შეუძლიათ უთხრან უკანასკნელთ და კიდეც დაარწმუნონ, რომ ავტონომიის საკითხი ნაადრევია, ამიტომ ყოველივე ილიუზია რომ სოციალ-დემოკრატები ეროვნულ საკითხს ახლა მაინც მიაქცევენ ჯეროვან ყურადღებას—ნაადრევაა მეთქი, და რომ მე არ ვსტყუვდებოდი, ეს ნათლად დაამტკიცა ბ. ნოე ჟორდანიას, და მუშათა საბჭოს დეპეშამ, სახელ ისინი ილაშქრებენ ბ. კიტა აბაშიძე წინააღმდეგ და მის და მაშასადამე მთელს მის პარტიასაც ხალხის მტრებად აცხადებენ მხოლოდ იმიტომ, რომ ის არ ეკუთვნის მას პარტიას და ეროვნული სულს კვეთების საუკეთესო გამომსახველ-წარმომადგენელია. აქედან ნათლად სჩანს, თუ ვის გულისხმობენ ჩვენი დასელები მცნება „ხალხის“ ქვეშ და რამდენად იზიარებენ ეროვნულს მრწამსს. და თუ, ბატონებო, იმათ თვალში სოციალ-ფედერალისტები და ბ. კიტა აბაშიძე მოსისხლე მტერნი ყოფილან ხალხისა, რაღა გვგონიათ, ჩვენ, რომელნიც ეროვნულ საკითხში კიდევ უფრო შორს მივდივართ რომელთა პროგრამა არ არის სოციალურ საფუძველზე დამყარებული, ჩვენ რა სახელით მოკვნათლავენ ისინი საზოგადოებას, ფართე მასას ჩვენს თავს?! მე მგონია ამაზე დიდი თავის მტკვრევა არ არის საჭირო: ჩვენ მათი აზრით ვართ მხოლოდ ბურჟუათა მოტრფიანე, თავად აზნაურობის რეაქციონური იდეოლოგიის მიმდევარ მოსამსახურე, ბატონ-ყმობის აღდგენა დამყარების მოსურნე, მუშათა და გლეხობის მოძულენი, სხვა ერების დაუძინებელი მტერნი და ვინ იცის კიდევ რა? ჩვენ ხომ არ შეგვიძლია პატიოსანი ადამიანი ვიყოთ, ჩვენ ხომ არ შეგვიძლია რაიმე წმინდა იდეალს, რამე მაღალ მიზანს ვემსახურებოდეთ და ყველაფერი ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ სოციალ-დემოკრატები არ ვართ!.. აი, ბატონებო, ამას ჰქვიან ფართე მსოფლ-მხედველობა, ამას ჰქვიან სამართლიანობა და პატივისცემა სხვისი პიროვნება-მოძღვრებისა?!

თუ მათ დავუჯერებთ, ჩვენ პარტიის სახელის ღირსიც აღარ ვართ, ჩვენ ფიქციას, სრულს არარას წარმოვადგენთ! მაგრამ ეს რომ ასე არ არის, ამას ნათლად მოწმობს დღეს აქ ბლომად შეკრებილი საზოგადოება, აქ შეგროვილი, ეროვნული იდეალებით განმსჭვალული ახალგაზრდობა, რომელიც, თუ კი საჭირო იქნება, დაუზოგველად თავსაც დასდებს, თავის ტანჯული სამშობლოს საკეთილდღეოთ — და ვით მთას მონასხლეტი პაწია ჩანჩქერ-ნაკადულები, სანამ ისინი დაქსაქსულნი არიან არავითარ ძალას არ წარმოადგენენ, ხოლო თუ კი შეერთდებიან ერთ დიად მდინარედ გადაქცეულნი მძლავრად და თავისუფლად გადაიშლებიან დედა-მიწის ზურგზე, და ამით თვით უდაბნო, ყოვლად უნაყოფო ადგილსაც კი გაანოყიერებ-გაამშვენიერებენ და თავის ნაპირებზე წამოჰმავენ მდიდარს, უზარმაზარ ქალაქებს. სწორედ ისე ჩვენც. ეროვნული იდეის მაღიარებელნი, თუ გავუწოდებთ ერთი ერთმანეთს ხელს და ერთი იდეით, ერთი დიადი მიზნით აღფრთოვანებულ ამოქმედებულნი მოვეფინებით ჩვენს ირგვლივ გადაშლილს მდელოს-ხალხს, მაშინ, მერწმუნეთ, რომ შევსძლებთ ხალხის გულის ღრმად ჩაწვდომას. მისი ნდობა სიყვარულის დამსახურებას და მის გულში წარმტაც მშვენიერ კოშკს სამშობლოს დიდება-აყვავების მედგარი მოთხოვნა-განხორციელების—აგება-აშენებას. მაშ, დროს ნუ ვკარგავთ, ვიმოქმედოთ და მომავალი, მზიური, ბრწყინვალე მომავალი ჩვენს ხალხსაც მალე დაუდგება!

სიტყვა

დ. ოურეშიძისა.

მე-18 საუკუნეში პეტრე I-ლის მიერ ღონძიებულმა რუსეთმა ცალი თვალი აღმოსავლეთისაკენ დაიჭირა. სპარსეთ-ინდოეთის საზღაპრო სიმდიდრე მას მოსვენებას არ აძლევდა. პირველი ნაბიჯი მიზნის მისაღწევად გადადგმული, კასპიის ზღვის ნაპირებზე დამკვიდრება იყო. საქართველოს დაუხმარებლათ პეტრე I ამ საქმის დაწყებას ვერ ბედავდა და ქართლის მეფე ვახტანგ 6-თან აშტარხანის გუბერნატორის ვოლინსკის პირით მოლაპარაკება გამართა: დამეხმარე, სპარსეთს შევებრძოლოთ და შენს სამეფოს სპარსეთის ზედგავლენისაგან სამუდამოთ უზრუნველვყოფო. აფრიკანელმა მეფემ მაშინვე თანხმობა გამოსთქვა და რუსეთმაც სპარსეთს ომი გამოუცხადა (1722 წ.)

მტრის წინააღმდეგ ამხედრებული მეფე თავის ჯარით სპარსეთის საზღვარზე რომ იდგა, სწორეთ ამ დროს პეტრემ მოულოდნელათ პირი იბრუნა და სპარსეთთან ომი შესწყვიტა. ადვილათ წარმოსადგენია, თუ რა მდგომარეობაში უნდა ჩავარდნილიყო ვახტანგი, რომლის სამეფო — ქართლი, ამას შემდეგ გაბრაზებულმა სპარსელებმა ჯერ მამადყულიხანს აოხრებიეს, შემდეგ კი ამ დამწვარზე მდუღარე, ოსმალებმა დაასხეს და მთლად ქართლ-კახეთი იყმეს!

„ჩვენ გვპირდებოდენ, ვეფხვთა კლანჭებიდან დაგიხსნით, ახლა კი აფთართა ხელში ჩავცვივდითო,“ ნაღვლიანათ ამბობდა მეფე.

აქიდან განვლო თითქმის 50 წელიწადმა. ქართლ-კახეთი გაერთიანდა, გაძლიერდა და მეფე ერეკლე სრულიად დამოკიდებული, სვემორჭმელი მეფე გარდა აღმოსავლეთ საქართველოსი და ყაზახ-ბორჩალოსი (1762 წლ.) სწორეთ ამავე ახლო ხანებში რუსეთის დედოფალმა ეკატერინე 2-მ თავის მეფობის შარავანდით შემოსვა მოინდომა და ოსმალეთზე იერიში მიიტანა. ეს მით უფრო, რომ რუსეთს მართლმადიდებლობის ბურჯათ მოჰქონდა თავი და ბიზანტიის და მასთან განუყრელის აია-სოფიის და სრუტეების მემკვიდრეთაც.—მიზნის მისაღწევად რუსეთმა ბალკანის ნახევარ კუნძულზე მცხოვრებ ქრისტიან ერებს მოუწოდა, მაგრამ უარი მიიღო. უარი მიიღო აგრეთვე რუსეთის მიერ პოლონეთის სამეფო ტახტზე აყვანილ გრაფ პონიატო[illegible] ქრისტეს სახელით ამ [illegible] ქართველ მეფეებსაც სოლომონ 1-სა და ერეკლე 2-სა. მეფეებმა მოწოდება მიიღეს, რადგანაც სოლომონ 1 ოსმალთა ბრძანებლობისაგან განთავისუფლებ ს მოელოდა, ხოლო ერეკლე—დაბრუნებას მესხეთისას, რომელიც ოსმალთ ეპყრათ, და რომელიც ითვლებოდა ბურჯათ და სიმტკიცეთ საქართველოისა, ერეკლეს თვალწინ გადაეშალა დიდებული სურათი: მის სამეფოს უნდა დაბრუნებოდა დაკარგული მოძმე, მშობელი კურატ—პალატისა, თორნიკეებისა, მთაწმინდელებისა, რუსთველებისა და სხვა მრავალი ხატი სამხედრო და სასულიერო ასპარეზზე მოღვაწე პირებისა. რუსეთი რასაკვირველია თავის საქმეს იკეთებდა და ომიც მან დაიწყო, მაგრამ მოკავშირე საქართველოში გამოსაგზავნათ 4000 ჯარის კაცი და მის წინამძღოლად ცნობილი ავანტიურისტი და მრავალჯერ შერისხული გენერ. ტოტლებენი გარმეტეს.

ვახტანგის გაკვეთილი ერეკლემ ვერ გამოიყენა.

ჩვენ ვიცით, რა ჩაიდინა ტოტლებენმა საქართველოში: როგორ სამარცხვინოთ გამოიქცა ის ასპინძიდან; როგორ აათხრა ქართლის სოფლები და ააწიოკა მცხოვრებნი; როგორ ამაოთ უტრიალა მან ბაღდადის, შორაპნის და ფოთის ციხეებს და ვერც ერთი კი ვერ აიღო, ხოლო სოლომონ 1-ის გამარჯვებებს თავის თავს მიაწერდა, შესაფერ მოხსენებებს თავის მთავრობას უგზავნიდა. რის გამო მოზდოკსა და ყიზლარში სამადლობელ პარაკლისებს იხდიდენ და ეკლესიის ზარებს ამაოთ ახმაურებდენ. ხოლო ეკატერინე 2 კი თავმოწონებით ვოლტერსა სწერდა: ჩემი ღენერალი სახელოვნათ იმარჯვებსო. დღეს ეს ყოველივე ცნობილია. მაგრამ აღარც ისაა დამალული, რომ გრ. პანინი ტოტლებენს უკარნახებდა: „შენ ისე იმოქმედე, რომ ხორცი იყოს ქართული, სული კი ჩვენი ედგასო“. ,,**Была бы душа здѣшняя, а тѣло грузинское.**''

მართალია, ერეკლემ ამ ომში სახელოვნათ გაიმარჯვა, რუსეთსაც სამსახური გაუწია, მაგრამ საქართველოს დამოუკიდებლობას კი ამ გარემოებამ ძირი გამოუთხარა. —საქმე ისაა, რომ ამ ა. წ. რუს-ოსმალთა პირველ ომამდი ერეკლესა და ოსმალეთს შორის ჩინებული განწყობილება იყო დამყარებული. აი, რასა სწერდა ახალციხის ფაშა ნეემანი ერეკლეს სწორეთ ამ ომის დაწყებისას: „სასურველო, შემძლებელო მეგობარო ჩვენო და მეზობელო... ჩვენ შორის მეგობრობა დამტკიცებული იყო და ერთი რამ წყენა არ მომხდარა. ახლა მოსკოვის უსჯულოები, ღმერთმა იმათი ბოლო დააქციოს, თქვენს ქვეყანაში შემოსულან და როგორც ძმათ მოყვარეობას შეშვენის, მათი მანდ ყოფნა ნუ იქნებაო“.

ეს განწყობილება ოსმალეთთან რუსეთის მიერ გამოწვეულმა ომმა დაარღვევინა ერეკლეს და მისი სამეფოს დამოუკიდებლობამაც ამიერიდან რყევა დაიწყო. —ოსმალეთი და სპარსეთი ამიერიდან კიდევ უფრო გადაეკიდენ ჩვენს ქვეყანას, როგორ თუ რუსები მანდ შემოუშვითო, და მახვილს მახვილზე ლესავდენ საქართველოს გულში ჩასაცემათ.—ჭირნახული და უკვე ჭაღარამოსილი მეფე მწარე საგონებელმა მოიცვა, იფიქრა, იფიქრა და ისევ რუსეთს მიმართა. ანტონ პირველი კათალიკოზი და მემკვიდრე თვისი ლევანი რუსეთს გაგზავნა და დედოფლისაგან მფარველობა ითხოვა (1773 წ. 8 თებ.). ამ ჟამად საქართველოს დახმარება რუსეთს არ სჭირდებოდა და ერეკლეს შეთანხმების პროექტიც მაუდქვეშ ამოდევს. პირიქით, უცნაური და მიუღებელი წინადადება უწოდეს მას: „**странныя и не повременныя учиненныя предложенія**“. ხოლო კაპიტან ლვოვს, რომელიც იმ დროს საქართველოში იდგა, აცნობეს, უკანვე დაბრუნდით, და თუ მშიშარა ქართველებს ვერ ენდობით, ყიზლარის კომენდანტს მისთხოვე დარაჯებიო. (...**если бы же вы возымѣли сумнѣніе подъ защитою робкихъ грузинцовъ...** და სხვ.).

ამის შემდეგ განვლო 10 წელიწადმა და ეს „მშიშარა“ ქართველები კიდევ სა-

ჰირონი გახდნენ. საქმე ისაა, რომ ამ ხანებში სპარსეთში არეულობამ იჩინა თავი. ყურმახვილმა ჩრდილოეთმა ეს მაშინვე გაიგო, მას თვალწინ წარმოუდგა პეტრე პირველის პროექტი და სპარსეთში დანთებულ ცეცხლზე ხელის მოთფობა განიზრახა. საქართველო ახლა კი შეიქნა საჭირო და ერეკლეს შეთანხმების პროექტიც გადაშალეს, განიხილეს ქ. გეორგიევსკში 1773 წ. 24 ივლისს საქართველოისა და რუსეთის წარმომადგენლებმა ერთმანეთს შორის შემდეგი ხელშეკრულება დასდვეს:

1

მეფე ქართლისა და კახეთისა თვისისა და ძეთა და მომავალთა თვისთა სახელით ღებულობს თავის თავზე რუსეთის მფარველობას და აღთქვამს მის ერთგულებასა და დახმარებას, სადაც და როდესაც ამას საჭიროება მოითხოვს.

2

იმპერატორი რუსეთისა თანასწორადვე აღთქვამს თვისისა და მემკვიდრეთა თვისთა სახელით, რომ მეფეს მფარველობა არ მოაკლოს და იძლევა თავის იმპერატორებითს სიტყვას ერეკლე თეიმურაზისძის აწინდელი სამეფოს დასაცავათ. კისრულობს იმ სამფლობელოთა დაცვასაც, რომელნიც მის მიერ შეძენილ იქმნებიან.

3

ქართლ-კახეთის მეფენი რუსეთის იმპერატორთ აუწყებენ თავის ტახტზე ასვლასა და გამოითხოვენ დამტკიცებას დროშით, რომელზედაც გამოსახული იქნება რუსეთის ღერბი, მქონებელი საშვალ თვისსა საქართველოს ღერბისა, და რუსეთის მინისტრის დასწრებით მიიღებენ ფიცს.

4.

ქართლ კახეთის მეფემ რუსეთის დაუკითხავად არ იქონიოს მიწერ-მოწერა გარეშე სახელმწიფოებთან.

5.

ქართლ-კახეთის მეფეს რუსეთში ჰყავს თავისი წარმომადგენელი, აგრეთვე იმპერატორს ჰყავს თავისი მინისტრი საქართველოში.

6.

ქართლ-კახეთის მკვიდრთა მტრებს იმპერატორი მიიჩნევს თავის მტრად; მეფეს ერეკლესა და მის სახლეობასა და მემკვიდრეთ დაიცავს უცვალებლად ქართლ-კახეთის ტახტზე; რაც შეეხება სამეფოს შინაურ მმართველობას; გადასახადს, სასამართლოს და მისთანათა, სტოვებს მეფის სრულს უფლებაში და თავის მოხელეებს უკრძალავს ამ მხრით რაიმე განკარგულების მოხდენას.

7.

მეფეს ქართლისა და კახეთისა აღთქვამს თავის მხედრობით მზათ იყოს იმპერატორის დასახმარებლად. სხვა და სხვა პირთა დაჯილდოების დროს მხედველობაში მიიღოს იმათი დამსახურება იმპერიის წინაშე.

8.

საქართველოს კათალიკოზი იყოს წევრი რუსეთის სინოდისა; თუ როგორი უნდა იყოს საქართველოს ეკლესიის დამოკიდებულება რუსეთის სინოდთან, ამისთვის დაიწეროს სხვა მუხლი.

9.

ქართლ-კახეთის აზნაურნი სარგებლობენ იმპერიის აზნაურთა უფლებებით.

10.

ქართლ-კახეთის მკვიდრთ თავისუფლად შეუძლიათ რუსეთს გადასახლება და უკანვე დაბრუნებაც.

11.

ქართლ-კახეთის მკვიდრთ ეძლევათ უფლება რუსეთში თავისუფლად ვაჭრობისა და ისარგებლონ იმ პატივითა და სამართლით, როგორც იმპერიის მკვიდრნი. მსგავსადვე მეფე აღთქვამს შესაფერი მფარველობა გაეწიოს რუსის ვაჭრებს საქართველოში.

12.

ხელშეკრულობა ესე საუკუნოა. თუ საჭიროება შეცვლას ან დამატებას, მოითხოვს ეს უნდა მოხდეს ერთმანეთის თანხმობით.

ხელს აწერენ: **თ-დი პავლე პოტიომკინი, თ-დი იოანე ბაგრატიონი, თ-დი გარსევან ჭავჭავაძე.**

ჩვენ ვიცით, თუ როგორ პატიოსნათ ასრულებდა რუსეთის მთავრობა ამ ხელშეკრულობას თვით ერეკლეს სიცოცხლეშიაც კი! რა საშინელი საფრთხე განუმზადა საქართველოს ასეთმა ნაბიჯმა. სპარსნი და ოსმალნი სულ კბილებს ილესავდენ და რისხვას რისხვაზე უგზავნიდენ ჩვენს ქვეყანას. ერეკლე, პირობისამებრ, ჯარსა და დახმარებას თხოულობდა; დედოფალი დარეჯანი წერილებს წერილზე გზავნიდა რუსეთში, მაგრამ როგორ იცავდენ თავიანთ იმპერატორებითს სიტყვას რუსეთის თვითმპყრობელნი, სჩანს იქიდანაც, რომ გენერ. გუდოვიჩს 1795 წლ. 1 ოკტომბერს მოუვიდა ბრძანება ერეკლეს მიშველე, თუმცა თავს ნურც მაგრე შეიწუხებო, ხოლო იმავე წლის 11 სექტემბერს საქართველოს დედა ქალაქი უკვე განადგურებული იყო მძინვარე აღამაჰმადიანისაგან და მოხუცი ერეკლე არაგვის ხეობაში იყო გახიზნული.

ასენის მიზან-შეწონილის და წინასწარ განზრახულის მოსაზრებით სუსტდებოდა საქართველო. რომ ეს ძვირფასი თვალი რუსეთის თვითმპყრობლის გვირგვინს თავის თავად მიმატებოდა.

და როდესაც ქართლ-კახეთის ტახტზე ავიდა გიორგი XII-(1798 წ.) კაცი ავათ მყოფი და უფრო საზერო ცხოვრებისათვის დაბადებული, ვიდრე ქვეყნის მმართველად, საქართველოს თავისუფლება თვით ამ მეფის დღეგრძელობაზე შეიქნა დამოკიდებული.

სპარსეთის ახლად მოვლენილი მმართველი ფათალი შახი, ანუ ბაბახანი, ძმისწული აღამაჰმადხანისა, საქართველოზე სულ კბილებს ილესავდა და იმუქრებოდა, უძლურ მეფეს გასაქანი აღარ ჰქონდა და თავს იმით და ინუგეშებდა, რომ თავის ოთახში რუსეთის იმპერიატორის პავლე 1-ის სურათი ეკიდა და იმის ქვეშ დადგებოდა, როცა ბაბახანის მუქარას მიიღებდა. მეფე ხელშეკრულობის განახლებაზე და რუსთა ჯარის მოწვევაზე ოცნებობდა, თუმცა მას ურჩევდენ: ბატონო მეფევ, კავკასიის კარს რომ აღებთ, შეიძლებთ კი მის დროზე დახშვასო? ქართველობა სხვათა მეფობას ვერ გაუძლებს; რუსნი შემოიტანენ მძიმე უღელს და დასდებენ ქვეყნის კისერსა, მამაშვილობა მამინაცვლობათ გადაიქცევა, ჩვენს მამულებს ბარაბანით გაჰყიდიან, მკვდრებს კი მუსიკით დამარხავენო. რასაკვირველია შესაფერ ნებისყოფას მოკლებული მეფე სამეფოს პატრონათ ეღარ გამოდგებოდა. ელეზარ ფალავანდიშვილი, გიორგი ავალიშვილი, და გარსევან ჭავჭავაძე რუსეთს გაგზავნა და ახალი ხელშეკრულობა ითხოვა, რომლის ძალითაც საქართველოში უნდა მდგარიყო 6000 რუსის ჯარისკაცი; ქართულ ფულს ორგვარი წარწერა უნდა ჰქონოდა—ქართული და რუსული; სამეფო არ უნდა მოშლილიყო და ტახტი დაცულიყო; კათალიკოზი თავისსავე ადგილს უცვლელათ უნდა დარჩენილიყო და სხვა.

ასეთი პირობა საქართველოს ელჩებმა პავლე 1-ს წარუდგინეს 1799 წ. მაგრამ საქმე ისაა, რომ პავლე სულ სხვაზე ოცნებობდა, სულ სხვა მხრივ ეჭირა თვალი; გიორგის ავათმყოფობის ამბავი იცოდა და სულ იმის დღეთა სწრაფვის ანგარიშში იყო. პავლეს მაშინ უფრო დაეკარგა მოსვენება, როცა საქართველოში გამოგზავნილმა: გრ. მუსინ-პუშკინმა ასეთი მოხსენება წარუდგინა: „საქართველოს შეერთებით მოგვემატება ფრიად მდიდარი ქვეყანა; აილაგმებიან მთიულნი რომელნიც მოსვენებას არ გვაძლევენ; იშლება ფართო ასპარეზი სპარსეთისა და ინდოეთისაკენ; რუსეთს მიეცემა საშვალება რისხვათ მოევლინოს სპარსეთსა და ოსმალეთს; ქართლ.-კახეთის შემოერთება აუცილებლათ გამოიწვევს იმერეთის და საზოგადოთ შავი ზღვის სანაპიროების შემოერთებასაცო." ასეთი თვალის მომჭრელი სურათი დაუდგა წინ პავლეს; ეს ფრიად დიდი საქმე იყო რომელიც პავლეს ფერმკრთალ პიროვნებას ჩინებულ ელფერს მისცემდა.—მან გიორგის „სათხოვარი პუნქტები (просительные пункты) განიხილა და იმავე ელჩების ხელით უკანვე წარმოუგზავნა, ხოლო იქვე საიდუმლო ბრძანება დაადევნა გენერ. კნორინგთან, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიის ჯარის უფროსი იყო; „თუ ვინიცობაა გიორგი მეფე გარდაიცვალოს, ქართლ-კახეთის ტახტი განსაკუთრებულ განკარგულებამდი არავინ დაიჭიროსო." და როცა პავლე ცალი ხელით ამ ბრძანებას აწერდა, მეორე ხელით აქვე საქართველოს შეერთების მანიფესტს ამტკიცებდა. გიორგი მეფე გარდაიცვალა 28 დეკემბერს, 18800 წ. ელჩებმა მას ცოცხალს ვეღარ მიუსწრეს.

ოცის დღის შემდეგ კი-1801 წ. 18 იანვარს პეტრეს ქალაქში საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობას დღესასწაულობდნენ.

ხმა სვანეთიდან.

ვის არ ახსოვს ის კურთხეული 1905 წელი, როცა სამაროლიანობის მლალაფებელნი მიზნის მისაღწევათ არავითარ საშვალებას არ ერიდებოდნენ და კერძო ინტერესისათვისაც ბევრი რამ ნადგურდებოდა. დღეს მაშინდელი გაკვეთილები თვალწინაა და ნუ იქნება მსგავსი განმეორება. კარგათ უნდა ახსოვდეს საქართველოში მომქმედ პარტიებს, როცა გაგზავნიან ვისმე სვანეთში, სადაც განსაკუთრებული პირობებია და ადვილად შეიძლება დღევანდელ მნიშვნელოვამ მომენტს კერძო ინტერესებიც გადაეხლართოს, რაიც არევ-დარევას გამოიწვევს და შეიძლება არა სასურველი შედეგი მოჰყვეს. ნუ გათიშავენ სოფელში მცხოვრებთ ვინც უნდა იყვეს იგი. განსაკუთრებით მართებს არმომადგენელ აგიტაბორებს რომ გაიგონ ხალხის აზრი, თუ რა მხრით უფრო ტკივილებს გრძნობს იგი. სასურველი კი იქნებოდა რომ ჩვენი პარტიები თავის აზრებს ჩვენ ხალხის მოთხოვნილებებს შეუთანხმებდენ.

დასასრულ მთელი სვანეთის ხალხთან ერთად გმრდაფხაძეები აღტაცებით ვეგებებით ახალ მთავრობის ყოველგვარ სურვილებს და ვუსურვებთ ხალხის საკეთილდღეოთ საქმის დაგვირგვინებას.

გარდაფხაძეების მონდობილობით:

მელიტონ გარდაფხაძე

მსოფლიო ომი.

აღმოსავლეთის ასპარეზი.

მთავარ ბანაკის ცნობა.

პეტროგრადი 18 მარტი. ილლუქსტის ჩრდილოეთით და პოსტავის მიდამოებში გერმანელთა იერიშები მოვიგერიეთ. დანარჩენ ასპარეზზე სროლა და მზვერავთა მოქმედებაა.

რუმინიის ასპარეზი.

პეტროგრადი 18 მარტი. სროლა და მზვერავთა მოქმედებაა. ჩვენი არტილერია მარჯვედ უშენდა გერმანელთა მონიტორს (ჯავშნიანი ნავი), რომელიც ლამობდა გალაცს დაახლოვებოდა.

კავკასიის ასპარეზი

პეტროგრადი 18 მარტი. სროლა და მზვერავთა მოქმედებაა.

მფრინავთა მოქმედება.

ჩვენმა მფრინავმა ვილნოში ყუმბარები ჩამოყარა. პოდგაიცეს სამხრეთით გერმანელთა საფრენი ძირს ჩამოვაგდეთ 2 მფრინავი—აფიცერი დავატყვევეთ.

კაზაკთა მდგომარეობის გაუმჯობესება

პეტროგრადი 17 მარტი. ოფიციალი პეტროგრადის სამხედრო შტაბის ბრძანება 14 მარტი 1917 წ. გამოცემული უმაღლესი მართველობისაგან 133 ნუმერით. განკარგულება 8 თებერვლის 1894 წ. 9 ივლისის 1896 წ. და 20 დეკემბრის 1910 წ. კავკასიის ჯარის ნაკაზნი ატამანის წასარდგენით კაზაკებზე განსაკუთრებული სასჯელის დადება. უფლება უქმდება. აწერს ა. გუჩკოვი.

იტალიის ასპარეზი.

რომი 17 მარტი. ოფიციალი. გუშინ მთელ ასპარეზზე ზარბაზნების სროლა იყო. ხოლო უფრო ცხოველი ლაგარინის ველზე და კარსოზე. ხანგრძლივი საარტილერიო მზადების შემდეგ მტერმა იერიში მოიტანა მონტეფორტის პოზიციებზე, მაგრამ მოგერებული იქმნა და ტყვიის მფრქვევლების საშვალებით თითქმის სულ გავანადგურეთ. უკანასკნელი იერიშებიც მოვიგერიეთ.

დასავლეთის ასპარეზი

პარიზი 17 მარტი. შუადღის ოფიციალი სომასა და ენის შუა მოწინავე პოზიციებზე ღამემ წყნარად ჩაიარა. დანარჩენ ასპარეზზე არაფერი არ მომხდარა, გარდა მზვერავების შტაბებისა და ცხოველი ბრძოლისა ხელის ყუმბარებით მეზონდე შამპანის მიდამოებში.

ლონდონი 17 მარტი. საღამოს ოფიციალი: დღეს ჯილით ფიცხელი ბრძოლის შემდეგ ავიღეთ სოფ. ნეველ სიერჟონვალი, ჩვენ წამოვიყვანეთ ტყვეები და მტერი დავაზარალეთ. ღამე არრასის აღმოსავ. ნეველსენვაასტსა და ნევშაპელის ახლო გერმანელთა ხაზებში შევიჭერით და რამდენიმე მიწური დავანგრიეთ, მტერი აქ დიდათ დავაზარალეთ. ჩვენმა მფრინავებმა გერმანელთა 2 საფრენი აიძულეს დაბლა დაშვებულიყო, ჩვენ უგზო უკვლოდ დაგვეკარგა 3 საფრენი.

ლონდონი 17 მარტი. ოფიციალი ჩვენმა ჯარმა დაიკავა სოფელი რეინანკარი და სორელსგრანი. მკაცრი შეტევის შემდეგ ჩვენ წინ წავიწიეთ ადიკბერისკენ და დავატყვევეთ გერმანელები. დილით ჩვენ უკუ ვაქციეთ მათი იერიშები სამხრეთით ნევილ-ბერტონვალისა [illegible] ღამოს ჩვენ შევიჭერით [illegible] სანგრებში ნევილ-სერტონვალის აღმოსავლეთით, დიდი ზარალი მიეაყენეთ, დანარჩენ ადგილებზე დღისით სროლა იყო.

ვერმელის აღმოსავლეთით ჩვენი მძიმე არტილერია ესროდა გერმანელების მატარებელს, რამდენიმე ყუმბარა მიზანში მოხვდა.

მიტინგი სოფლად

დ. ბაღდადი. 9 მარტს ბაღდადში გაიმართა დიდი მიტინგი, რომელსაც დიდძალი ხალხი დაესწრო. ხალხი აღტაცებული და აღფრთოვანებული შეეგება საერთო თავისუფლების სიხარულს კრებაზე სრული წესიერება სუფევდა. კრების თავმჯდომარეთ ერთხმათ აირჩიეს გ. კაპანაძე, რომელმაც მოკლედ გააცნო საზოგადოება დღევანდელ მომენტის მნიშვნელობა. შემდეგ ილაპარაკეს ქუთაისის აღმასრ. კომიტეტის წევრებმა გ. ლალიძემ და ლ. დადეშქელიანმა, რომლებმაც მდაბიო და ხალხის გასაგები ენით აუხსნეს საზოგადოებას, თუ რა ბედნიერება გვეწვია და როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ ეს ბედნიერება შევინარჩუნოთ. ილაპარაკეს აგრეთვე სხვებმაც საერთოთ ორატორები მოითხოვდნენ ხალხში სრულ სიმშვიდეს და ერთ სულოვნობას, უსურვეს გამარჯვება ახალ მთავრობას და მოიხსენიეს სული რევოლიუციურ ბრძოლაში გმირულად დაღუპულებისა. შემდეგ აირჩიეს ადგილობრივი აღმასრ. კომიტეტ., რომელშიდაც შედიან: გ. კაპანაძე, გ. ახვლედიანი, ი. გოგოძე, ე. დვალიშვილი, ა. გაგუაძე, ნ. ჩხიკვაძე და ს. გორგოძე კომიტეტის თავმჯდომარეთ გ. კაპანაძე./ ხსენებულმა კომიტეტმა გადააყენა [illegible] პოლიცია, [illegible] და გარდასცა სახალხო მილიცია

ბაღდადელი.

წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

ქუთაისის ღარიბ ბავშთა დამხმარე საზოგადოების გამგეობა უგულითადეს მადლობას უძღვნის ქ ნ ყაუხჩიშვილის ქალთა კერძო გიმნაზიის გამგეს, მასწავლებლებსა და მოსწავლეებს, რომელთაც ახლად გარდაცვალებულის მეოთხე კლასის მოწაფე ქალის ელისაბედ ყიფიანის ასულის პატივისცემის აღსანიშნავად გვირგვინის ნაცვლად თავიანთ შორის მოაგროვეს 39 მანეთი და შემოსწირეს ქუთაისის ღარიბ ბავშთა დამხმარე საზოგადოების სკოლის მოსწავლეებს ტანსაცმელისათვის.

მდივანი მანუილოვი.

რედაქტორი **ნ. ლორთქიფანიძე.**
გამომცემელი ამხ. **სამშობლო**

რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

თფილისიდან	დილის	7 ს. 25 წ.
„	საღამ.	8 ს. 50 „
ბათომიდან	დღისით	12 ს. 40 „
„	ღამის	2 ს. 20 „
ფოთიდან	დილის	10 ს. 26 „
ტყიბულიდან	საღამოს	7 ს. 00 „
შორაპნიდან	დილის	9 ს. 24 „

ქ. ქუთაისიდან გადის.

თფილისისაკენ	დილის	11 ს. — „
„	ღამის	12 ს. 15 „
ბათომისაკენ	საღამოს	7 ს. 3 „
„	დილის	5 ს. 55 „
ფოთისაკენ	დღისით	4 ს. „
ტყიბულისაკენ	დილის	8 ს. 13 „
შორაპნისაკენ	დღით	5 ს. 18 „

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

ტ. ფ. ფილოიანისა·

ორივე სქესისათვის (თბილისში, მიხეილის პროსპ., № 24, ტელ. № 976).
თხოვნის მიღება: 4—5 საათ. საღამოთი. მეცადინეობა დაიწყო თოთხმეტ იანვარს.
პროგრამები და წესდებანი მსურველთ გაეგზავნებათ, ან მიეცემათ უსასყიდლოთ კურსების კანცელარიაში. 11 თვ.

თუ გსურთ მიიღოთ საუკეთესო ფოტოგრაფიული სურათები, უსათუოდ შედით

პირველ ხარისხოვან ფოტოგრაფიაში „ხელოვნება"-ში

რომელიც გაიხსნა ამა 1917 წ. 1 იანვრიდან ქუთაისში ქარვასლის ქუჩა, ვ. გრიკუროვის სახლში, კლასიკურ გიმნაზიის პირდაპირ, მესამე სართულში, შესავალი ვარანცოვისა და ქარვასლის ქუჩ.

ფოტოგრაფია ღებულობს ყოველგვარ საფოტოგრაფიო სამუშაოს:
ფოტოგრავიურები მიუნხენის ფოტოგრაფიის სკოლისებური,
პორტრეტები, ფაიფურზე, გადიდება **პორტრეტებისა**, რა ზომისაც საჭიროა.

ფასები ძლიერ მცირეა. მოსწავლეებს და სალდათებს დაეთმობათ 20% არსებულ ფასზე. დაკვეთილი საქმე სრულდება **საჩქაროთ და გემოვნებიანად**, რაშიც გთხოვთ დარწმუნდეთ. სურათებს იღებს რუსეთის სახალხო ფოტოგრაფიის თანამშრომელი ფოტოგრაფი **ხ. ლარიბაშვილი.** 2 თ.

განცხადება.

ძმათა ქორქოლაძეების მაღაზიაში მიღებულია საუკეთესო ხარისხის

საპონის „სოდა",

აგრეთვე ყოველივე ბაკალიური საქონლები.

ფასები ყველაფერზედ ზომიერია. 10 თვ.

ავი სენი.

ყოველ მის სტადიაზე წარმატებით რჩება გაუმჯობესებულ ფრანგულ ექ. **დე ვეზის პრეპარატის** საშუალებით. სიფილისის მოსარჩენათ ხმარებულ საშუალების უმნიშვნელო მოქმედებას იმ დასკვნამდი მიჰყავს ავათმყოფნი, რომ წამლობას თავს ანებებენ და ამით თავის თავს მწვავე შედეგების საფრთხეში აგდებენ. სიფილისის ბაცილები, მძლავრდებიან, რა ავამყოფის სხეულში, შხამავენ მთელს ორგანიზმს საშინარი შხამით, რომელიც იწვევს პროგრესიულ სიდამბლეს, სხეულის სრულიად დაშლას. მხოლოდ რადიკალური და ენერგიული წამლობა სიფილისის წინააღმდეგ ათავისუფლებს ავათმყოფს სიკვდილისაგან. **პრეპარატი ექ. დე ვეზისა** ცნობილია ექიმებისაგან შეუდარებელ საშუალებათ სიფილისის წინააღმდეგ შინაურულათ წამლობის დროს. **პრეპარატი ექ. დე ვეზისა** სრულებით სპობს სიფილისის ბაცილებს და სწმენდს შხამისაგან სხეულის ყველა ნაწილს. **პრეპარატი ექ. დე ვეზისა** სპობს მუწუკებს, ჩირქის დენას, გუბს და შხამს, რომელიც სიფილისისაგან არის გამოწვეული, სპობს თავის ტკივილს. ფეხების ავათმყოფობას, ზურგისას, უძილობას, მეხსიერების, მხედველობისა და სმენის სისუსტეს. **პრეპარატი ექ. დე ვეზისა** დიად სამსახურს უწევს ავათმყოფს და აშორებს მას ხირხიმლისა და მთელი ორგანიზმის პროგრესიულ სიდამბლეს. სიფარშივის თავიდან ასაცილებლათ **პრეპარატი ექ. დე ვეზისა** იყიდება ქ. ქუთაისში მხოლოდ პრაქტიკულ მედიცინის ლაბორატორიის" განყოფილებაში **ა. ნ. შავერზაშვილის** სააფთიაქო მაღაზიაში. გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ. ფასი ერთი კოლოფისა 6 მანეთი, წამლობის მთელი კურსისათვის საჭიროა 3—5 კოლოფი. პოპულარული როშურა იგზავნება უფასოთ.

სტამბა "ძმობა" პუშკინის ქ., სახლი გოკიელოვისა